

სოციალური ძალადობრივი მოძრაობების გავლენა ქვეყნის შიდა
პოლიტიკაზე

ელენა ბასანოვი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელენა ბასანოვი

26. 06. 2017

აბსტრაქტი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მიმართულება სოციალური მოძრაობები და მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურაზე. შესავალში ასახულია თუ რა არის ზოგადად სოციალური მოძრაობები, როგორ იქმნება და ვითარდება, რა მიზანს შეიცავს, ასევე თუ რისთვის იქმნება და რა შედეგი მოაქვს მათ. განხილულია, თუ რატომ და როდის ყალიბდება სოციალური მოძრაობები და როგორ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, რაც დასაბუთებულია მკაფიო მაგალითებით.

კვლევის მიზანია აჩვენოს თანამედროვე სოციალური მოძრაობების არსი, ადგილი და მიზანი სოციალურ განვითარებაში, რომ შევძლოთ მათი საბოლოო შედეგის პროგნოზირება და ვაჩვენოთ მათი გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სტრუქტურაზე, რაც ასევე დეტალურად განხილულია ნაშრომში.

კვლევა იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდს და ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ სამ რესპონდენტთან. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ორი სხვა მეთოდიც - შედარებითი შემთხვევის კვლევა (Comparative Case–Study) და მსგავსების მეთოდი (Method of Similarity).

ნაშრომი ფოკუსირებულია იმ ფაქტორების წარმოჩენაზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური მოძრაობების შესწავლაზე და მათ გაანალიზებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური მოძრაობა, რეპრესია, ძალადობა, პროტესტი.

Abstract

The following research aims to investigate one of the most important issues of interdisciplinary field - International Relations and Political Science, *the social movements and the role in the political structure of the state*. The introduction discusses what social movements are in general, how they are created and developed, what is the purpose of their activity as well as when and in what circumstances they are formed and expend. It's also discussed why and when the social movements are formed and how they differ from each other, that is clearly seen in examples.

The purpose of the thesis is to show the essence, the goals of the social movement developed in the concrete place, necessity of its emergence and maintenance; to demonstrate the influence on the political structure of the country on the challengers' strategy or the repertoire of the collective action techniques.

The current work uses qualitative methodology, it's as an in-depth interview was conducted with three respondents for the research purposes and recorded on audiotape. The other utilized methods are Comparative Case–Study Analysis and Method of Similarity to investigate single cases.

The present research displays convergence of the stated hypothesis with the theories used for the deductive reasons.

Key Words: social movement, repression, violence; state response, protest, dissident.